

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 22 თებერვლის სხდომის

ოქმი =22

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 18. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის მუხლში მსუბუქი ავტომობილის შეძენის მიზნით.

2. რექტორთან შეთანხმებით, ფაკულტეტის დეკანებისთვის (სულ 8 სამტატო ერთეული) აღდგეს 500 ლარიანი სახელფასო დანამატი (სტუ-ს ახალი სამტატო განრიგის დამტკიცებამდე).

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრისთვის 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული და გამოყოფილი იქნეს 3 600 ლარი, ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ვფიქრობ, რომ ფაკულტეტის დეკანი უნდა აღმატებოდეს ანაზღაურებით ყველა სხვა ფაკულტეტზე არსებულ სამტატო ერთეულს, რაც შეეხება ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, ეს ყველაფერი წინასწარ უნდა ყოფილიყო გაწერილი და ცვლილებები აღარ დაგვჭირდებოდა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის მუხლში მსუბუქი ავტომობილის შეძენის მიზნით.

2. რექტორთან შეთანხმებით, ფაკულტეტის დეკანებისთვის (სულ 8 სამტატო ერთეული) აღდგეს 500 ლარიანი სახელფასო დანამატი (სტუ-ს ახალი სამტატო განრიგის დამტკიცებამდე).

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრისთვის 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული და გამოყოფილი იქნეს 3 600 ლარი, ხოლო ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტების დროებითი სტრუქტურების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №845 – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე: მოგმართავთ თხოვნით დაგვიმტკიცოთ ფაკულტეტების შემადგენლობაში აკადემიური დეპარტამენტების ჩამონათვალი წარმოდგენილი

სახით; ასევე, ვითხოვთ თანხმობას, 2013 წლის გაზაფხულზე სტუ–ში აკადემიური პერსონალის გეგმიური კონკურსის ჩატარებამდე, რექტორის ბრძანებით დაინიშნონ ფაკულტეტების აკადემიური დეპარტამენტების უფროსების მოვალეობების შემსრულებლები. ასევე, გთხოვთ დაგვიმტკიცოთ სტუ–ს ფაკულტეტების შემადგენლობაში გაერთიანებული სასწავლო ლაბორატორიების ჩამონათვალი, სტუ–ს ფაკულტეტების ლაბორატორიების ხელმძღვანელებს დაენიშნოთ ხელფასი თვეში 800 ლარის ოდენობით და ფაკულტეტების აკადემიური დეპარტამენტების უფროსების მოვალეობების შემსრულებლები თავიანთი ფუნქციების შესრულებას შეუდგნენ 2013 წლის პირველი თებერვლიდან, ხოლო ლაბორატორიების ხელმძღვანელები – 18 თებერვლიდან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. იური ლომიძემ წარმოადგინა საკითხი „ფაკულტეტების დროებითი სტრუქტურების დამტკიცების“ შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №845.

სენატმა მიზანშეწონილად მიიჩნია:

1. დამტკიცდეს ფაკულტეტების შემადგენლობაში აკადემიური დეპარტამენტების ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი1); 2013 წლის გაზაფხულზე სტუ–ში აკადემიური პერსონალის გეგმიური კონკურსის ჩატარებამდე, რექტორის ბრძანებით დაინიშნონ ფაკულტეტების აკადემიური დეპარტამენტების უფროსების მოვალეობების შემსრულებლები.
2. დამტკიცდეს სტუ–ს ფაკულტეტების შემადგენლობაში გაერთიანებული სასწავლო ლაბორატორიების ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი2);
3. სტუ–ს ფაკულტეტების ლაბორატორიების ხელმძღვანელებს დაენიშნოთ ხელფასი თვეში 800 ლარის ოდენობით;
4. ფაკულტეტების აკადემიური დეპარტამენტების უფროსების მოვალეობების შემსრულებლები თავიანთი ფუნქციების შესრულებას შეუდგნენ 2013 წლის პირველი თებერვლიდან, ხოლო ლაბორატორიების ხელმძღვანელები – 18 თებერვლიდან.

ასევე, ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება გაითვალისწინოს ახალ სამტატო განრიგში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 თებერვლის დადგენილება №874 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი;

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: მოგახსენებთ, რომ ცენტრი ეფუძნება ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის უკეთ წარმოჩენას, ეს საკითხი დღეისათვის ძალზე აქტუალურია, ცენტრი იქნება თვითდაფინანსების პრინციპით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 თებერვლის დადგენილება №874.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რადიოტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე

ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის ხელშეწყობის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 თებერვლის დადგენილება №873 – მომხსენებელი პროფ. ალბერტ ასანიძე;

პროფ. ალბერტ ასანიძე: მოგახსენებთ, რომ რადიოტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე პროექტებს ესაჭიროება დანერგვა ჩვენს გარემოში, რის გამოც გვსურს შევქმნათ ეს ცენტრი. იგი იქნება თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. ალბერტ ასანიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რადიოტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის ხელშეწყობის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 13 თებერვლის დადგენილება №873.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რადიოტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის ხელშეწყობის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: ქალბატონ ქეთევანს აქვს წარმოსადგენი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღის წესრიგში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ჩარხების, სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის“ დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ჩარხების, სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასათვის“ დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სენატმა გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა სტუ-ს ადმინისტრაციას უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ჩარხები დროებით სარგებლობაში გადასცეს სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს „დელტას“.

სპიკერი: ბატონო ოთარ ზუმბურიძეს ვთხოვ წარმოადგინოს საკითხი, რომელიც ასევე არ არის გათვალისწინებული დღის წესრიგით.

პროფ. ოთარ ზუმბურიძე: წარმოგიდგინთ საკითხს ევროპის კომისიის საგანმანათლებლო პროგრამა “ერაზმუს მუნდუსის” პროექტებით სტუ-ში ცალკეული კურსების სწავლის მიზნით მოვლინებულ სტუდენტებთან დაკავშირებით. აღნიშულ საკითხზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 18 თებერვალს და მიიღო დადგენილება №878. მისი შინაარსი ასეთია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენაზე (რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული) სასწავლო კურსების სწავლების უზრუნველყოფი პროფესორ-მასწავლებლების (მათ შორის მოწვეულის) საშტატო განრიგის შესაბამისი ანაზღაურება: რუსულ ენაზე სწავლების – კოეფიციენტით 2, ხოლო ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე – კოეფიციენტით 3.
2. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს, უზრუნველყონ „ერაზმუს მუნდუსის“ პროგრამით მოვლინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასწავლო კურსების წარმართვის ხელშეწყობა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე პროფ. ოთარ ზუმბურიძემ წარმოადგინა საკითხი ევროპის კომისიის საგანმანათლებლო პროგრამა “ერაზმუს მუნდუსის” პროექტებით სტუ-ში ცალკეული კურსების სწავლის მიზნით მოვლინებულ სტუდენტებთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 თებერვლის დადგენილება №878.

სენატმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენაზე (რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული) სასწავლო კურსების სწავლების უზრუნველყოფი აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა საშტატო განრიგის შესაბამისი საათობრივი ანაზღაურება: რუსულ ენაზე სწავლების კოეფიციენტით 2, ხოლო ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე კოეფიციენტით 3.
2. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს, უზრუნველყონ “ერაზმუს მუნდუსის” პროგრამით მოვლინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასწავლო კურსების წარმართვის ხელშეწყობა.

სპიკერი: არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მე წარმოგიდგენთ. საკითხი ეხება სტუდენტებისთვის სწავლის ღირებულების დაფინანსებას, კერძოდ: გვინდა სენატმა მისცეს რეკომენდაცია ფაკულტეტების დეკანებს ფინანსური დახმარების მიზნით გაითვალისწინონ შესაბამისი თანხები იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები, უდედმამო ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების და გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით ან განსაკუთრებული ნიჭით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 22 თებერვლის =22 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუდენტებისთვის სწავლის ღირებულების დაფინანსების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: მიეცეს რეკომენდაცია ფაკულტეტების დეკანებს ფინანსური დახმარების მიზნით გაითვალისწინონ შესაბამისი თანხები იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენლები, უდედმამო ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების და გამოირჩევიან აკადემიური მოსწრებით ან განსაკუთრებული ნიჭით.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე